



პროექტი "დავიცვათ საქართველოს სისუფთავე"

ესეების კონკურსი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გარემოს დაცვით საკითხებზე დაიწყო !

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, აცხადებს ესეების კონკურსს თემაზე **„ბიომრავალფეროვნება და მდგრადი განვითარების მიზნები (SDG)“** რომელიც მიზნად ისახავს, ახალგაზრდების თვალთ დანახული, გარემოს დაცვის საკითხების და მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას და მათი ჩართულობის გაზრდას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. ესეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 20 იანვარი 18.00 საათი და უნდა შეადგენდეს 5-7 გვერდს.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება 2 გამარჯვებული (I და II) რომელთაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო 500 და 400 ლარის ოდენობით.

ესეების სათაურებია:

1. „მდგრადი განვითარების მიზნები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების დაცვასთან და მათი მიღწევით მიღებული სარგებელი“ ან
2. „მდგრადი განვითარების მიზნები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების დაცვასთან და მათი მიღწევით მიღებული სარგებელი“

ესეში „მდგრადი განვითარების მიზნები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების დაცვასთან და მათი მიღწევით მიღებული სარგებელი“ უნდა აღიწეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზნის, ან მიზნების მისაღწევად საჭირო



ინიციატივები, აქტივობები, ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენის კუთხით და რომელთა (მიზნების) შესრულებაც პირდაპირ კავშირშია ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენასთან, ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებასთან. შემოთავაზებული წინადადებები უნდა იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული. ამ კუთხით მისასაღმებელია საკუთარი ორიგინალური ხედვის შემოთავაზება. სასურველია ასევე შემოთავაზებული იყოს საკუთარი ხედვა მოსახლეობის კონკრეტულ, ან ფართო ფენებისთვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარების ასპექტების თაობაზე.

ესეში „**მდგრადი განვითარების მიზნები, რომლებიც პირდაპირ არაა დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების დაცვასთან და მათი მიღწევით მიღებული სარგებელი**“ უნდა აღიწეროს მდგრადი განვითარების რომელიმე მიზნის, ან მიზნების მისაღწევად საჭირო ინიციატივები, აქტივობები, ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენის კუთხით და რომელთა (მიზნების) შესრულებაც პირდაპირ კავშირში არაა ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენასთან, ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებასთან. შემოთავაზებული წინადადებები უნდა იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული. უნდა ჩანდეს მიზნის მისაღწევად ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენის, ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნების როლი. ამ კუთხით მისასაღმებელია საკუთარი ორიგინალური ხედვის შემოთავაზება. სასურველია ასევე შემოთავაზებული იყოს საკუთარი ხედვა მოსახლეობის კონკრეტულ, ან ფართო ფენებისთვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ჩატარების ასპექტების თაობაზე.

თემა მოიცავს შემდეგ კონტენტს:

მოკლე ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნებისა (SDG) და ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. მდგრადი განვითარების მიზნები (17 მიზანი) ფართო სპექტრისაა და პასუხობს მდგრადი განვითარების ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია (ანუ ჩართულობა) და გარემოს დაცვა.

ბიომრავალფეროვნების დაცვის და აღდგენის ქმედებები, ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნება-გამლიერებით, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ინსტრუმენტია. მდგრადი განვითარების მიზნებიდან და ამოცანებიდან ბევრი პირდაპირ კავშირშია ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენასთან (მაგალითად: კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება; დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული



მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-
გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და სხვა.). მდგრადი განვითარების
მიზნების უმრავლესობის მიღწევა შეუძლებელია ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენის
და ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნება გაძლიერებისკენ მიმართული ქმედებების
გარეშე (მაგალითად: სიღარიბის აღმოფხვრა; შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო
უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის
ხელშეწყობა; სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა,
სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; მდგრადი
ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და
ინოვაციების ხელშეწყობა და ა.შ.). ამ ჭრილში, ბიომრავალფეროვნების დაცვის,
კონსერვაციის, დეგრადაციის თავიდან აცილების და აღდგენის ქმედებები ის
მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია მდგრადი
განვითარება და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა, რაც დიდწილად
ბიომრავალფეროვნებისაგან მიღებული მრავალმხრივი და უმნიშვნელოვანესი
ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნების გზითაა შესაძლებელი. ასეთი სერვისების
არსებობაა იმის საწინდარი, რომ მიღწეულ იქნას ისეთი მიზნები, რომლებსაც თითქოს
პირდაპირი კავშირი არა აქვს ბიომრავალფეროვნებასთან (მაგალითად: სიღარიბის
აღმოფხვრა; შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული
კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა; სტაბილური,
ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული
დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის; მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა,
ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა
და ა.შ.), რომ აღარაფერი ვთქვათ იმ მიზნებზე, რომელთა შესრულებაც პირდაპირ კავშირშია
ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენასთან (კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის
წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება; დედამიწის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა
და მდგრადი გამოყენება, ტყეების გონივრული მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის
დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება
და სხვა.). მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ტყის არსებობა ადამიანთა
კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ტყე უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნების
დაკმაყოფილებას საკვებით (მათ შორის ცხოველური საკვებით, უზრუნველყოფს რა
საბინადრო, თუ თავშესაფარ ადგილს მრავალი ცხოველისთვის), სუფთა ჰაერით, მერქნით
და ა.შ. ტყე ასევე უზრუნველყოფს კლიმატის ცვლილების შერბილებას, რეკრეაციული
ზონების არსებობას, რაც ნიშნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, სუფთა წყალს,
ზვავებისა, თუ მეწყერებისაგან დაცვას და ა.შ. გარდა ამისა ტყეებს გააჩნია
წყალმარეგულირებელი ფუნქციაც, რაც უზრუნველყოფს ზედაპირული წყლების ნაკადების



შენარჩუნებას. აღნიშნული თავისთავად უმნიშვნელოვანესია ისეთი სასიცოცხლოდ საჭირო სფეროსთვის, როგორცაა ჰიდროენერგეტიკა. თუ არ იქნა საკმარისი წყლის ნაკადები, ვერ იქნება უზრუნველყოფილი ჰიდროენერგეტიკის სექტორის გამართული ფუნქციონირება და შესაბამისად მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება. ცალკე აღსანიშნავია მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფის განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის. განსაკუთრებით ხაზგასასმელია: ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის; სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ პირებზე მორგებული ცნობიერების ამაღლების ქმედებები; განათლებისა და ცნობიერების ამაღლების სფეროში ჩატარებული კამპანიები და ა.შ. განათლებისა და ცნობიერების ამაღლება მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევის ეფექტური ინსტრუმენტია და ეს ინსტრუმენტი უცილებლად უნდა იქნას გამოყენებული კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა-განხორციელებისას. ესეები გადმოაგზავნეთ ელ. ფოსტის მისამართზე: orchisge@yahoo.com და მიუთითეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება სადაც სწავლობთ, ფაკულტეტი და კურსი.

გისურვებთ წარმატებებს!

პროექტს „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, დავიცვათ საქართველოს სისუფთავე და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით.

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

ტაშკენტის ქ.10ა, 0160, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 2385199; მობ.: (+ 995 595) 335699

ელ. ფოსტა: orchisge@yahoo.com

ვებ-გვერდი: <http://www.orkisi.ge>



Project "Keep Georgia Tidy"

Essay Competition for High School Students on Environmental Issues has been launched!

With the financial support of the Government of Sweden and in the frames of the „Keep Georgia Tidy“ Project, Georgian Society of Nature Explorers “Orchis” announces an Essay Competition on the theme of “**Biological Diversity and Sustainable Development Goals (SDG)**” which aims to promote environmental protection and the Sustainable Development Goals as they are perceived by the youth and to increase their engagement. The Competition is open to students of high schools.

The deadline for the submission of essays is January 20, 2021, 18:00. Essays should comprise 5-7 pages.

Two winners (I and II) will be identified per theme in the frames of the Competition, which will be granted a monetary award comprising 500 GEL and 400 GEL respectively.

The headlines of the essays are:

- 1. Sustainable Development Goals Directly Connected to Biodiversity Protection and Benefits of Their Fulfilment**
- or**
- 2. Sustainable Development Goals Not Directly Connected to Biodiversity Protection and Benefits of Their Fulfilment**

The essay “**Sustainable Development Goals Directly Connected to Biodiversity Protection and Benefits of Their Fulfilment**” shall elaborate on biodiversity protection and restoration initiatives and activities that are required to achieve one or more SDGs which are directly linked to the protection and restoration of biodiversity and maintenance of ecosystem services. The suggested ideas shall be substantiated and justified. Proposing own original vision in this regard is welcomed. It is advisable to describe own vision regarding awareness raising measures targeted at specific groups of people or wide range of population.

The essay “**Sustainable Development Goals Not Directly Connected to Biodiversity Protection and Benefits of Their Fulfilment**” shall elaborate on biodiversity protection and restoration initiatives and activities that are required to achieve one or more SDGs which are not directly linked to the protection and restoration of biodiversity and maintenance of ecosystem services. The suggested



ideas shall be substantiated and justified. The role of the protection and restoration of biological diversity and importance of the ecosystems maintenance for the achievement of the SDGs shall be demonstrated. Proposing own original vision in this regard is welcomed. It is advisable to describe own vision regarding awareness raising measures targeted at specific groups of people or wide range of population.

The theme covers the following context:

Brief information about the Sustainable Development Goals (SDGs) and biodiversity protection.

193 Member States of the UN agreed on September 25, 2015 on the Sustainable Development Agenda when adopted the document named ‘Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development’. This Agenda comprises 17 goals and 169 objectives. The SDGs (17 goals) cover wide range of issues and address interrelated components of the sustainable development: economic growth, social inclusion and environmental protection. Actions intended for the protection and restoration of biological diversity, preservation and enhancement of ecosystem services are the instrument for the achievement of the SDGs. Many of the sustainable development goals and objectives are directly linked to the protection and restoration of biological diversity (for instance: to take urgent action to combat climate change and its impacts; to protect, restore and promote sustainable use of terrestrial ecosystems; to sustainably manage forests; to combat desertification and halt and reverse land degradation; to preserve biodiversity; etc.). Majority of the SDGs cannot be achieved without actions targeted at protection and restoration of biological diversity, and maintenance and strengthening of ecosystem services (e.g.: elimination of poverty; ending of hunger, achieving of food security and improved nutrition, and promotion of sustainable agriculture; promotion of sustained, inclusive and sustainable economic growth, full and productive employment and decent work for all; building of resilient infrastructure, promoting of inclusive and sustainable industrialization and fostering of innovation; etc.). In this context, measures for the protection, conservation, prevention of degradation and restoration of biodiversity are essential components of the sustainable development and accomplishment of the SDGs, which could be mainly achieved through the maintenance of diverse and key ecosystem services offered by biodiversity. The presence of such services is a precondition for attainment of the goals that at a glance are not directly connected to biodiversity (e.g.: elimination of poverty; ending of hunger, achieving of food security and improved nutrition and promotion of sustainable agriculture; promotion of sustained, inclusive and sustainable economic growth, full and productive employment and decent work for all; building of resilient infrastructure, promoting of inclusive and sustainable industrialization and foster innovation, etc. not to speak about goals which are



immediately related to the protection and restoration of biodiversity (e.g.: to take urgent action to combat climate change and its impacts; to protect, restore and promote sustainable use of terrestrial ecosystems, sustainably manage forests, combat desertification, and halt and reverse land degradation and halt biodiversity loss; etc.). The availability of the forest that ensures well-being of people can be given as an example. The forest provides food for population (including animal source foods as it secures habitats and shelter for many animal species) as well as fresh air, timber, etc. In addition, the forest ensures mitigation of climate change, presence of recreation areas and fresh air that are of importance for human health, protection from avalanches and landslides, etc. Besides, forest have water regulation function what ensures the maintenance of surface flow. This is highly significant for hydro power which is an essential sector. If sufficient water flows would not be available, hydro power sector could not operate properly and respectively could not supply electricity to people. Separately should be mentioned how significant is the role of education and awareness raising of all age groups of population for the fulfilment of the SDGs. The following shall be particularly highlighted: the importance of awareness raising among wide range of population including decision makers; activities intended to raise awareness among persons working in different sectors; campaigns organized in education and awareness raising fields; etc. Education and awareness raising are effective tools for the fulfilment of the SDGs, and they shall be used during planning and implementation of specific activities.

Please send your essays on the following e-mail address: orchisge@yahoo.com indicating your contact information as well as the name of your high school.

Good luck!

"Keep Georgia Tidy" Project is being implemented by the NGO Consortium: Georgian Society of Nature Explorers "Orchis", Keep Georgia Tidy and Greens Movement of Georgia/Friends of the Earth Georgia through funding of the Government of Sweden, with support of Georgian Ministries of Environmental Protection & Agriculture, Regional Development & Infrastructure, and Education, Science, Culture & Sport, and in cooperation with the Solid Waste Management Company of Georgia and Environmental information & Education Centre.

Georgian Society of Nature Explorers "Orchis"


10a Tashkenti St., 0160, Tbilisi, Georgia

Tel: (+995 32) 2385199; mob: (+ 995 595) 335699

E-mail: orchisge@yahoo.com; web-page: <http://www.orkisi.ge>



დავითვათ საქართველოს სისუფთავე



KEEP GEORGIA TIDY

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ – Georgian Society of Nature Explorers “Orchis”
საქართველო, თბილისი, 0160, ტაშკენტის ქ. №10ა, - 10a, Tashkenti str., 0160, Tbilisi, Georgia, ტელ/Tel: (+995 32) 2 38 51 99 / (+995) 595 33 56 99
E-mail: orchisge@yahoo.com; Web: www.orkisi.ge

